n. 20

სამშობლო ქვეყნის მოდვაწეები

სოლომონ დოდაშვილი

თფილისი

სტამბა ექვ. ხელაძისა, სავ ქ. საკუთ. სახ № 4

1893 წ.

სამშობლო ქვეყნის მოდვაწეები

სოლომონ დოდაშვილი

34256

ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲐ
ᲐᲙᲐᲓ. Ი. ᲒᲠᲘᲨᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ
ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ-ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘ
Библиотека-Музей
имени
Акад. И. Гришашвили
Академия наук

თბილისი

სტამბა ექვ. ხელაძისა, სავ. ქ. საკუთ. სახ. № 4

1893 წ.

Дозволено Цензурою. Тифлисъ 27 Ноября 1892 г.

სოლომონ დოდაშვილი

ზოგი ერთი ერის მდგომარეობის პირობები სულ უკეთ-ესია მიდის და ზოგისა-კი უკეთ. საქართველოში მეთოთხმეტე საუკუნის დასაწყისიდამა ათს წელსაც არ გაუვლია ისე, რომ ჩვენს ქვეყანას მოსვენება ჰქონოდა. ხშირად რასაც გარეული მტრები აკლებდნენ, იმას შინაურები ასრულებდნენ. მაგრამ ქართველთ ძალა მაინც არ სუსტდებოდა, რადგანაც მაშინ ქართველთ რიცხვი ოთხს მილიონზედ მეტი იყო. თუმცა ხშირადაც ძლეულან ქართველნი და გამწყდარან, მაგრამ არც მათ კარზედ მოსულს მტრებს დასდგომიათ კარგი დღე და მათაც ხშირათ გასთენებიათ ხოლმე შავი დღეები. ბევრი შავი დღეები გამოიარა ქართველობამ, ბევრი შეწუხება, ბევრი ულტა-წუვეტა, მაგრამ გმირულს გულს მაინც არ იტეხდენ და ქართველ გლეხ-კაცობა ისე მედგრად და თავ-გადადებით ბრძოდა სამშობლო ქვეყნის დაცვის საქმეს, რომ ხშირად თვით მთავრთა და დიდებულთაც-კი სცხვენოდათ მათი და მამულს ვერ ღალატობდნენ, გლეხების მაგალითებით გატაცებული ხშირად ესენიც წმინდათ შთებოდენ თავიანთ სინიდისს წინაშე. ასეთის გმირულის ომების გამო გაწყდა თითქმის სამი მილიონი ქართველი გლეხ-კაცობა 1300—1560 წლებამდე. ამათგან ბევრი ისეთი გამოჩენილი გმირებიც გამოსულან ხოლმე, რომლებთანაც ჩვენ ბევრს ჩვენ მეფეებსა და მთავრებსაც კი ვერ დავსწერთ. ასე და ამისთანა თავ-გადადებულის მეცადინეობით ქართველებმა როგორც იქმნა მეთვრამეტე საუკუნემდე მოაღწიეს. ამ საუკუნეშიაც ბევრი შავი დღეები ნახეს, მაგრამ

1795 წლის შემდეგ კი, ქართველებმა იწყეს მოშენება და დაბა და სოფლებში გამრავლება. 1796 წლის შემდეგ ტფილისში, მხოლოდ 10,000 სული შეიკრიბა. მაგრამ მალე 20,000-მდე ავიდა, ამ საუკუნის დასაწყისში კი 35,000-მდე იყო. უკელგან რაღაც სიცოცხლის ნიშნები აჩნდებოდა. ქართველებისთვის დიდს სასელმძღვანელოდ დაშთა 1795 წ. შემთხვევა.

ოსმალ-სპარსებმაც საქართველოზე ქურდულათ ომებს თავი გაანებეს, ესენი შეშინდნენ, ჩვენ რომ ქართველები შეგვაწუხოთ, მაშინ ესენი რუსებს შემოიუკანენ აქა და ეს არც ჩვენთვის იქმნება კარგიო. ეს მხარე ჩვენ უკნებლად უნდა შეკინასოთო. ლეკებსაც აღეკრძალათ ლამე ნავარდობა და ქურდულათ ტაციობა, უკელგან მშვიდობიანი ყოფა-ცხოვრება ფუძნდებოდა, კაჭრობა ფეხს იდგამდა და სედოსნობა ვრცელდებოდა, მხოლოდ ამ დროს ქართველებს ერთად ერთი გამჭრიახობა და ერთობა აკლდათ, მაგრამ ამას ვერ მოუარეს და ერთობის მაგიერ, ამ მშვიდობიანობის დროს, ახლა თვით შინაურნი მთავარნი და დიდებულნი აირიენენ და აირიენენ ისე უსდელათ და გაურკვევლათ, რომ მათის არევის მიზეზები მათაც არ ესმოდათ სრულათ. ამაობაში და ამ დავიდარაბაში დადგა მეცხრამეტე საუკუნე, საქართველოში ეკრიბიდამ მრავალთ უცხოერთ დაიწყეს მოგზაურობა და ამ დროს, საქმე ისე მოიმართა, რომ საქართველო რუსეთს შეუერთდა და მხოლოდ ამ შემთხვევამ დაამშვიდა ქართველთა არეულ-დარეული მთავარნი და დიდებულნი, მეფენი და აზნაურნი.

ამ შემთხვევამ დიდი თავ-ზარი დასცა ოსმალ-სპარსებს, ანგლიასაც ძრიელ ეწყინა, რაცა გაიგეს. ვიდრე საქმე გათავდებოდა, მინამდის სპარსნი და ოსმალნი ეკედრებოდნენ ქართველთ, რომ მაგ საქმეს ნუ იზავთო, ოსმალოს ელჩნი თფილისში იყვნენ მოსულნი და ჭეირდებოდნენ, რომ ოსმალი

სუფევდა წართმეულს ადგილებს დაგებრუნებსო, ოღონდ-კი დარჩით მაგრეო. ასევე უთვლიდა ანგლია, რომელთანაც შუამავლობდა ერთი სომეხი, რომელიც ადრიდგანვე ინდოეთში იქმნა გადასული, იქ კაჭრობდა ეს და მას იქ დიდი შეძლება მოეპოვებინა. ამ პირის მეოხებით მადრესში სომხურს ენაზე ვრცელი წიგნიც დაიბეჭდა, სადაც აწერილია საქართველოს საძეფოს წეს-წყობილების შეცვლის წესები, თუ საქართველოში რაგორრა უნდა მოეგვარებინათ. მაგალითად: კაზარმების კეთება, ჯარის მოკრება, ამათი ტანთსაცმელი, ჯამა, სმა, სწავლა, სარჯის გაწერა, ქალაქების შენება და სხვანი, მასწავლებლათ ანგლიჩნები უნდა ეოფილიყვნენ. ერეკლე საქართველოს და სომხეთის მეფეთ უნდა გამოცხადებულიყო და ბოლოს ამის საშუალებით სომხეთის საქმეც ადორძინებულიყო. ერეკლემ ამის შესახებ საქართველოდამ კაცებიც გაგზავნა, ამათი მოგზაურობა და ამბები მეც მინას-მიკითხავს. მაგრამ ეს საქმე ვერ იქმნა და საქართველო ევროპას რუსეთის შეერთებით დაუახლოვდა. იქმნება ეს უამისოდაც მომხდარიყო და საქართველო ევროპას დაახლოვებიყო, მაგრამ ეს ასე მოხდა და ჩვენც ესენი გვამადლიან. ევროპასთან შეკავშირებას გარდა ქართველობა მოსვენებასაც მიეცა. მან თავის თავიდგან საძეფო მზრუნველობა და საძხედრო მიმართულებაც მოიცილა და სადაც იმ დროიდის ქართველთა შვილები მხოლოდ ხმების ტრიალს და ოთვების დაცემას სწავლობდენ, აქ მის ნაცვლად ევროპიელს განათლებას და განვითარებას უნდა მიეღო დასაწყისი; ამაზე ამბობს ალექსანდრე ჭავჭავაძე:

„გაიხსნა გზა და ეშვათ ივერიელთ სასოება,
რომე მუნით შევიდეს მათ შორის განათლება“.

ამავე საგანს ნ. ბარათაშვილიც ეხება და ამასაც დიდათ მოსწონს ზემოხსენებული შემთხვევა და ამბობს სიამოვნებით:

„სადაც აქამდის ხლმით და ძალით ჰფლობდა ქართველი, მუნ სამშვიდობოს მოქალაქის მართავს აწ ხელი“.

ჩვენი სამღთო ფილოსოფი ბ. იოსელიანი კი სულ სხვა შესედულებისა არის, ეს გარდამეტებით აღემატება სიხარულსა და ამბობს, რომ დღეის შემდეგ ქართველთ აღარაფერის ზრუნვა მართებთ, იგინი მოსვენებით იქმნენ, რათა მათზე მადლი უფლის გადმოვიდა, იგინი დღეს ბრწყინვენ ეკკლესიის დიდებით, მონასტრებს და ბერებს კვალად უბრწყინდება XI და XII საუკუნეო! სხვა რამ ოცნებები საქართველოსთვის საჭირო აღარ არის, იგი ამ მგზავრობით უნდა მიეგებოს მეორეთ მოსვლასაო. ერთი ამ ბირებთაგანი სოლომონ დოდაშვილი-კი სულ სხვა შესედულებისა არის და ეს სულ სხვა სასიხარულოს გილოთი აღნიშნავს ქართველთ მდგომარეობის ბირობებს. ეს უკელაფერში თანხმა არის ზემო ხსენებულ ბირებთანა, მაგრამ არც იმას სტოვებს უყურადღებოთ, რომ ყოველ ერისთვის ჯაინც დიდს საჭიროებას შეადგენს მის შინაგან საკუთარი ყოფა-ცხოვრების წესები, ზნე-ჩვეულება და ამაების თანხმად დამკვიდრებული საძოქალაქო წეს-წყობილება, რომელიც უფრო დაწინაურებს ერსა და იგი უფრო მოჰფენს მას განათლების სხივებსაო. თუ ეს ასე არ იქმნება, მაშინ ქართველთათვის ეკელაფერი ამაო უნდა იყოს, რადგანაც უამისოდ აქ დაშთენილნი ძეგლნი და ნიშანი ტეტხლსა და წყალს მიეტემიან და საბოლოვოთ ფერფლათ იქცევაო. ეს რათ უნდა მოხდეს იქ, სადაც ბუნებას დიდის დიდებით დაუგვირგვინებია ეკელაფერიო, სადაც ერთ დროს ერიც ერობდა და სწავლა-განათლებაც ბრწყინავდაო. აქ ესენი დღემდის დაფარული იყო და არა დაკარგულიო, მას გამოცხადება უნდა და მერმისთვის სადღესასწაულო სამზადისიო. ამას უნდა მეცადინეობდენ დღეს ქართველთა შვილები, კვრეპის განკითარებას ამისთვის უნდა იქენდენ, იგინი

მხოლოდ ამისთვის უნდა ზრუნავდეს და არა მარტო თავიანთ სმა-ჭამა, ჩაცმა-დახურვა და მუცელ ჯიბისთვისო. ეს სჩანს მთელს დოდაშვილის ნატვრაში და რადგანაც ეს პირი ასეთს ქართველ მამულის შვილებს თხოულობდა და ამაებს აკვლებდა მათ, ამიტომ პირველი მაგალითი თვითონვე უნდოდა რომ მიეცა და ეჩვენებინა. თავის სწავლა ქადაგებისა და ღაღადების თანხმად თვითონვე მოჰკიდა ხელი იმ საქმეს, ისეთ განვითარებას და ისეთ დედა აზრებს, რასაც სხვა ქართველთა შვილებს კისერზე სამღთო კალთა ადებდა. იგი იქმნება საქართველოს მზის შარავანდი და მის ქვეშ აღმოსცენდება უველაფერი ქართველთაო, მის ქვეშ განვითარდებიან ქართველთა ძენიო, აღსდგება დიდი მწერლობა, მას გაუგებენ მდიდარს წარსულს და სამაგალითო ისტორიულის ღირსებით დაუახლოვდებიან და გაეცნობიან ევროპასაო. ევროპაც ბევრს შესანიშნავს რამეს ჩვოვებს ჩვენში, ბევრს ბრწყინვალე ნათლის მიმფენს სხივებს ჩვოვებს ჩვენს ძველსა და ახალს ცხოვრებაში. ბევრი მსოფლიო პირი აღმოჩნდება საქართველოს ისტორიაშიო.

II

სოლომან დოდაშვილი იყო პირველ იმ ქართველთაგანი, რომელიც საქართველოდამ რუსეთის უმაღლეს სასწავლებელში წავიდა სასწავლებლათ, ეს იყო პირველი პირი, რომელმაც იმ ახალს დროში, დაშორებულს მხარეში გაბედა წასვლა, ამან სძლია თითქმის ყველა ის გარემოებანი, რასაც სხვები მაშინ უძლეველათ ხდიდნენ, ამან სცადა ის, რის ცდაც სხვა ქართველებს მაშინ ერთობ ერიდებოდათ და ვერა ბედავდენ. ამით დოდაშვილმა ქართველებს ერთობ კარგი და დიდი მაგალითები მისცა და თავის თავიც მათ წინაშე საკმარის საყურადღებოდ

გახადა, უკეთა ამას აბედვინებდენ მის მამულის მდგომარეობა, მისი პატივის ცემა, სიყვარული და ისიც, რომ დღეის შემდეგ საქართველოს თუ არ სწავლა განათლების მეოხებით მიეცემა რამე შვება და სიკეთეო, უამისოთ ყველაფერი უბრალოა და ამაო, აქ დღეის შემდეგ ძველი ქართველი ვერარას გაუწყობსო. ქართველებისთვის ცოდნა არის საჭიროვო, იგი უცოდინარი კაცების მეოხებით დავარდა, მას მცოდნე, განვითარებული პირები სულ არ ჰყვანდენო. ამასვე ამბობს ალ. ორბელიანი, რომ ერეკლეს ხუთი კაცი ყოლდა ევროპიულათ განვითარებული, მაშინ საქმე სხვა ნაირათ წავიდოდაო... აგერ საწყალი დოდაშვილიც სტოვებს თავის სამშობლო ქვეყანას და მიდის რუსეთში ცოდნის შესაძენათ, აქ უნდა დაუმატოთ, რომ ს. დოდაშვილის წინეთ ქართველთაგანი სხვებიც სწავლობდენ რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში, მხოლოდ სასულიერო აკადემიებში. ერთი გაიოს ნატვალიშვილი, მეორე მოსდოველი ქართველი, ბაზალაძე და მესამეც იოანე ბერი, ვაქირელი, ხელაშვილათ ცნობილი ჩვენს ძველ სასულიერო მწერლობაში.

სოლომონ დოდაშვილი დაიბადა 1804 წ. სიღნაღის მაზრის სოფ. მალარიაში. მამა ამისი სასულიერო პირი იყო და გლეხის შთამომავალი. ამის მამა, ივანე მღვდელი, მეფეების მოამსწრე იყო, ამას მოესმინა ანტონ კათალიკოზის კატეგორია, რეტორება, მღვთის მეტყველება, სწავლა დავით გარეჯის მონასტრის სასწავლებელში მიეღო. ეს მღვდელი დიდათ მეცადინეობდა შვილის აღზდაზე და ამან ერთობ ადრე დააწყებინა სოლომანს შინ წიგნის სწავლება. შინ სწავლების შემდეგ იგი მიაბარეს წმიდა ნინოს მონასტრის ბერებს და ეს ბერები ასწავლიდენ მას ჩინებულათ სამღთო წერილს და საქართველოს ისტორიას. რამდენიმე ხნის შემდეგ ამას მზადება დაუწყეს რუსულ ენაში და 1818 წლებში ეს შეიყვანეს იმ დროის ახ-

ლად დაარსებულს თფილისის ქართველების სემინარიის მოსამზადებელ კლასებში. აქ ეს მეტათ მეცადინეობდა სწავლა-განკითარების საქმეში, ერთობ ეტარებოდა რუსულ ენის შესწავლას და რუსულ წიგნების კითხვას. ამავე დროს დოდაშვილი დაუახლოვდა თფილისში მყოფ ქართველ პატრებს და ამათანაც საკმარისად მეცადინეობდა ფრანგული და ლათინური ენის შესწავლას. ამათის მეოხებით გაიცნა პოლშის ერის მდგომარეობა და წარსული ისტორიული ცნობები. ამ პატივსაცემ ქართველ პატრებმა 1820 წლებში, ბევრს ქართველ კაცის შვილებს დასდეს დავალება. ჩვენს მეფეების დროს ქართველი პატრები დიდათ პატივცემულნი იყვნენ, რადგანაც კათოლიკეების მამულის სიყვარულით ესენი სჭარბობდენ მართლ-მადიდებელთ ქართველთ მღვდლებს. ამათი ექიმობა ჭრილობის შესახებ-კურნება იყო ხოლმე ომების დროს ქართველ მხედრობისთვის. პირუტყვის ექიმობა ამათ საქართველოში ერთობ უმაღლეს სარისხზე აიყვანეს, მთელს საქართველოში მოეფინეს ეს, მაგრამ ხშირათ უჩნდებოდენ ისეთი პირნიც, რომელნიც ამათ განძრასულებას ცილსა სდებდენ და ათას ნაირათ სჩაგრავდენ, ამათ იცოდენ ეს და ამიტომაც სხვა და სხვა საქმეების კეთების გარდა ერთობ მეცადინეობდენ ქართველთ შვილების გამოზდასაც. ამათ დაბადეს მთელი გუნდი ქართველთ თავობისა, რომელთაც საქართველოს სიყვარული უზომოთ შთაუნერგეს გულში. დოდაშვილიც ერთი ამათგანია. ამისთვის კმარა გავიხსენოთ 1830 წ. ქართველთ განათლებული კათოლიკენი.

დოდაშვილი სემინარიაში ოთხელს წელს კლასიდამ კლასში გადადიოდა. ამის მომსწრე კაცებისაგან გამიგია, რომ იგი იყო მეტათ გამბედავი და მალალ გონიერი. სემინარიაში ყოფნის დროს შეგირდებთან ერთ თავათ ქართველ მეფეებზე ჰქონდა საუბარი, ქართულ ძველ მწერლობაზედ და ისტორიაზე. ახალ-

გაზდობის გული ძრიელ მოწამლული ჰქონდა საქართველოს სიყვარულის გამო. მის სულს ყოველთვის გარს შავები ემოსა. მეორე ამის ნაცნობმა (ლ. ის.) კი კერავთრით აქო, ვინ იყო ისაო, არავერი, გადარეული იყოვო. ბევრჯერ უთხრეს მას: ბიჭო! ნელა, თორემ, თავს იქით გიკრამენო. „ჩემ ფეხებს თუ მიკრავენო. ძალიან დარდი, მზე ლ მთვარე იქაც არისო.“ მერე რა ქმნა, რა მოყვა მის საქმეებს, დავა-დარაბა და ათასი უბედურებაო. ბევრი ოჯახის შვილები გადარია ამანაო! ამ სიტყვების მთქმელი ისეთი ბიერია, რომელსაც ქართველების გაწყალებული მდგომარეობა საქებრათაც მიაჩნია და აბა ამისგან რას უნდა ველოდეთ. როგორც იქმნა დოდაშვილმა სემინარიის სწავლა გაათავა და გაათავა მეტათ ბრწყინვალეთ და სიმაღლით. სემინარიის შემდეგ ამან რუსეთში წასვლა გადასწყვიტა, მაგრამ დედ-მამა და ნათესავები არ უშვებდნენ, ამას მეტათ დიდს თანაგრძნობას და მფარველობას უწევდა იოვანე ბერი, ხელაშვილი. ბევრის ვაის ვაგლახის შემდეგ ამას ელირსა რუსეთში წასვლა, პეტერბურგში მისვლა, ამის მამას სალხი გადაეკიდა: შვილი რათ გაუშვი რუსეთში, აი შე შვილის გამყიდავო, შერცხა. მამას დროებით აქეთ იქით დამალვა მოუხდა და ამით ირჩინა თავი საუვედურებისაგან. სოლ. დოდაშვილი რუსეთში წასვლას ვერ გაბედავდა, მაგრამ სემენარიის სწავლის გათავების შემდეგ ეს თეიმოისის კეთილშობილთ სასწავლებელში გადავიდა და ერთის წლის განმავლობაში აქაც დაამთავრა სწავლა. უკანასკნელ აქაური მასწავლებლები უფრო უნერგავდენ მას უმაღლეს სასწავლებლის სიყვარულს. პეტერბურგში მისვლისათანავე ეს შეიდა უნივერსიტეტში, საგნათ აიღო ისტორიული ფაკულტეტი. პეტერბურგში ყოფნის დროს ეს დაუახლოვდა იქ მყოფ ბატონიშვილებს, აქვე დიდათ დაუახლოვდა იოვანე ბერს, რომლის დახმარებითაც წავიდა ეს რუსეთში. ამ ბერის მოხსენებით

დაუახლოვდა ბატონიშვილებს და ამ ბერის საშუალებითვე დაიწყო მეცადინეობა სხვა და სხვა ძველ ქართულ წიგნების კითხვაში და განვითარებაში.

არ შეიძლება, რომ აქ რამდენიმე სიტყვა ამ ბერის შესახებ არ გვთქვათ და მკითხველს არ გავაცნოთ. ეს იყო სოფ. კაქირელი, გვარით ხელაშვილი. აღიზარდა ანტონ ქათალიკოზის კარზე, მცირე ხანს თეიმურაზის სემინარიაშიაც სწავლობდა, მეფე ერეკლეს დროს ხელ დასხმულ იქმნა ანტონ ჰერეველისგან და ბერათ შედგა ანტონ მეორის დროს. დიდით გაწურთნილი ბერი იყო, მოუკარე ქართულის მწიგნობრობის, საქართველოს ისტორიისა და დიდათ მოსურნე საქართველოს ბედნიერების. ასეთის მეცადინეობის გამო ბატონიშვილებმაც იცოდენ მისი სახელი და მას საკმარის პატივს სცემდენ. საქართველოს რუსეთთან შეკავშირების შემდეგ, ბატონიშვილები რომ რუსეთში გადასახლეს, ეს ბერიც თან წაიყვანეს მათ და 1812 წლებში მოსკოვის სასულიერო აკადემიაში შეიყვანეს სასწავლებლათ, სადაც დაამთავრა აკადემიის სწავლა. სწავლის შემდეგ რუსეთშივე დარჩა და ქართულს მწერლობას მიჰყო ხელი, დასწერა ძრიელ ბევრი წიგნები, ზოგი თავის საკუთარი და ზოგი სთარგმნა. სხვათა შორის ამანვე შეადგინა რუსულ-ქართული ლექსიკონი, რომელზედაც ათი წელიწადი მუშაობდა. ამ ლექსიკონმა ჩვენამდის კარ მოაღწია. ზოგნი ამბობენ, რომ კითომც ეს ლექსიკონი ჩუბინაშვილს მიუთვისებია. ამ ბერსვე აკუთვნებენ „კალმასობის“ შედგენას და მხოლოდ იოვანე ბატონიშვილს დაუჩემებია იგიო. ამის საფუძვლათ იმას ამბობენ, რომ იოვანე ბატონიშვილი ასეთ საქმეს დაჩვეული იყოვო, მაგალითად, როგორც მიითვისა ბ. ლარაძესაგან ნათარგმნ-დაწერილი „დილარიანიო“ ჩვენ ამაზე კარაფერს ვიტყვით. ამას დაუწერია რიცხვით 28 წიგნი. ერთი კატესიზმოა, ფრიად საინ-

ტერესო. სადაც კითხვა მიგებით საქართველოს ისტორიული ცნობებიც არის მოყვანილი. უმეტესი ნაწილი ამის ნაწერებისა დაკარგული არის. ეს გარდაიცვალა 1838 წლებში. რაკი ეს ბერი გავაცანით მკითხველს მცირეთ, ახლა ამის შემდეგ ამის სახელს აქაიქ თავისუფლათ წარმოვსთქვამთ. აქ დაუმატებთ. რომ ეს ბერი გარდაიცვალა რუსეთში თავის სამშობლოსაგან მეტათ დასატრულებული, ბევრი რამ საინტერესო ცნობები იცოდა ამ ბერმა ჩვენი ცხოვრების და ბატონიშვილების შესახებ და ამაების წერა მას ერიდებოდა თურმე და დოდაშვილს კი ყველაფერს ეუბნებოდა. დოდაშვილი პეტერბურგში მთლათ ამ ბერის საშუალებით სცხოვრებდა. ამ პირს დიდი სურვილი ჰქონდა რომ საქართველოდამ ქართველი ბავშვები წაეყვანა ხოლმე აღსასრდელათ, ამას ამით ჰქონდა იმედი მომავალ ქართველების გასაძალუანებლათ და ასაღორძინებლათ. დაუცხრომლად ძველსა და ახალ წიგნების კითხვის გარდა დოდაშვილი რუსულ წიგნებსაც ერთობ კითხულობდა და ეჩვეოდა მათს შეთვისებაში. ეს ამის მხრით თვით კითარდებოდა. ნამეტურ კითხულობდა ნემენცების მეტაფიზიკების და ძველ ფილოსოფოსთა წიგნებს, მათ გარდა სწავლობდა თვით მათ ენასაც. ამავე დროს იგი მიეჩვია რუსულათ წერას და მონაწილეობას იღებდა აქა იქ იმ დროის რუსულ გამოცემაებში, უმეტესად სწერდა საქართველოს შესახებ წერილებს. ბევრიც არის ნაწერ-ნაბეჭდი, რაც-კი 1828 წლებშია რუსულ ენაზე ნაწერ ნაბეჭდი და გვარ მოუწერი, ყველა ეს დოდაშვილს ეკუთვნის. ამანვე სთარგმნა ქართულიდამ ერთი ძველი ლექსი და დაბეჭდა 1825 წ. ერთ რუსულ კრებულში. ამ ლექსს „ფარშევანგი“ ეწოდება. ქართულს ენაზე ვინ დასწერა ეს ლექსი ჩვენ არ ვიცით. არსად არაფერი გვინახავს. რუსეთში მყოფ ბატონიშვილებს დოდაშვილისაგან რუსულათ წერა ძლიერ უხარიოდათ. ესენი მას ლოცავდენ თურმე.

ბატონიშვილებთან სოლომონის სალაპარაკოც ყოველთვის საქართველო იყო, ძველი დრო, შემდეგი, მეფე ერეკლე, გიორგი მეფე, საქართველოს რუსეთთან შეერთება და ის დრო, როცა ეს პირნი სცოცხლობდენ, ამაკვე ბატონიშვილებთან კითხულობდა ყველა იმ ძველ ქართულს წიგნებს, რაც-კი ბატონიშვილებს საქართველოდამ რუსეთში გადაეტანათ. ისეთი გულს მოდგინეობა, რომელსაც დოდაშვილი იჩენდა საქართველოს ისტორიის და მწერლობის შესწავლაზე, სხვებისაგან ეს მეტათ იშვიათი იყო. როგორც იქმნა ს. დოდაშვილმა უნივერსიტეტის სწავლა გათავა, გათავა როგორც საუკეთესო მოწაფეთაგანმა, გათავების მოწმობისთვის ამან დაიწყო დისერტაციის წერა და დასწერა სახელმძღვანელო შემოკლებულის „ლოგიკისა“ ამის წერა მას ერთობ კარგათ მისდიოდა. დისერტაცია განხილულ იქმნა უნივერსიტეტის მთავრობისაგან და მოწონებულ არამც თუ როგორც სადისერტაციო თხზულება, არამედ როგორც სახელმძღვანელო და საჭირო წიგნი იმ დროის რუსის გემნაზიებსა და სემინარიებში სახმარებლათ.

იმ დროებში, რუსეთში თუმცა წიგნები დღეკანდელივით მრავალი არ იყო, მაგრამ რომ ვისმეს წიგნი მთავრობას მოეწონა და სახელმძღვანელოდ მიეღო და ისიც მოწაფესაგან, ეს კი ერთობ იშვიათი იყო ხოლმე. მაშასადამე ს. დოდაშვილისთვის ეს დიდათ სასიამოვნო უნდა ყოფილიყოს და ისეც ყოფილა. ეს საქმე არამც თუ მარტოთ დოდაშვილს ასიამოვნებდა, არამედ იოანე ბერს და ბატონიშვილებსაც. ამ პირებს ყველგან საკვეხურათა უსდებოდათ ეს საქმე. ბერმა სიხარულისაგან აღარ იცოდა რა ექმნა. ამანვე იკისრა დისერტაციის ცალკე წიგნათ გამოცემა და იმავე წელიწადს ე. ი. 1827 წ. პეტერბურგში, ცალკე წიგნათაც გამოსცა, წიგნს წინ პატარა წინასიტყვაობა მიუძღვის. წინასიტყვაობაში დოდაშვილი მი-

მართავს რუსეთის ხელმწიფეს და ევრიის მეფეობელს, რომ დღემდე ევრია უეურადღებოთ იყო დატოვებული და ახლა თქვენის მეოხებით მას მზის შუქი აღმოუბრწყინდა და გარს განათლების შარავანდედი მოეფინებაო. თქვენის მეოხებით აღმოსცენდება სწავლა განათლება და სიბრძნე მეცადინეობაო. დოდაევის ასეთი მიმართვა სხვა და სხვა მიზეზებს მიეწერება, თორემ ეს მაინცა და მაინც შერიგებული არ იყო იმ გარემოებასა და პირობებთან, რომ საქართველო მხოლოდ დღეის შემდეგ, თქვენის მეოხებით დაიმკვიდრებს ევროპის განათლებულ ერთა მსგავსად განვითარებას და მეცნიერებასაო. დოდაშვილის სიტყვა მხოლოთ სარჩულია და არა ნამდვილი გულიდამ აღმოსაგმენი ზეშმარიტი შესიშვნა.

როგორც სჩანს ლოღიკიდამ, დოდაშვილს საკმარისი მეცადინეობა ქონია ნემენტურს ენასა და მწერლობაში. სხვათა შორის ეს საუბრობს ძველის დროების ბერძენთა ფილოსოფოსთაგან შემოღებულს და ნახმარს ლოღიკის მოძღვრების დედა ნაზრების შესახებ, ეს მოიხსენებს თუ ძველთ საბერძნეთში როგორ ესმოდათ სიტყვა ლოღიკა, ანუ ლოგიკა, ვინ ამუშავებდა ამ სახელ-წოდებას და სხვანი. ლოღიკის შესახებ პლატონის ნაზრები, არისტოტელის და სხვების. სუბექტიური ან ობექტიური მიმართვა. განსჯა ლოღიკის სათანადოდ, ლოღიკის შესახებ. ლოღიკის უმთავრესი დედა ნაზრნი, დამამტკიცებელნი ან დამანაწილებელნი და მრავალნიც სხვანი. ამის შემდეგ განიხილავს ძველს ფილოსოფოსთა მოძღვრებას და ნაზროვნობას ლოღიკის შემადგენელობის თუ დამარღვევლობის, ძველ მწერალთა შემოკლებით განხილვის შემდეგ ეს გადადის საშუალ საუკუნის მწერალთა და შემდეგ საუბრობს ემანუელ კანტის ნაზროვნებაზე და ჰეგელზე. ამათზე უფრო ვრცლათ საუბრობს. ეს პირნი მას უდიდეს წარმომადგენათ მიაჩნია,

ლოღიკის ისტორიის ნაწილში უფრო ესენი არიან უმთავრესი ძალანი და სახსარნი, რომელნიც უფრო გარკვევით და დალაგებით ხსნიან ლოღიკის უმთავრეს მართლ მნიშვნელობას და მის შემადგენელ ნაწილებს, ბევრს კიდევ სხვებზედ და ბოლოს თვის დასკვნას ადგენს და მაგ მეოხებით საზღვრავს კიდეც სრულს მოსაზრებას ლოღიკის შესახებ და გარკვეულს შემადგენელობა მიხვედრას. ამ წიგნიდამ კარგად სჩანს, რომ დადაშვილს საკმარისი ცნობა ჰქონია გერმანიის და სხვების ძველთა და ახალთა ფილოსოფოსთა მწერლებზე, მღვთის მეტყველთა და ნამეტურ მეთვრამეტე საუკუნის მეტაფისიკების სკოლაზე და სხვებზე. სანაქებოა ამისი კიდევ ის, რომ სწერს მეტათ გასაგების და უბრალო ენის კილოთი, მისი წიგნი სხვა და სხვა ძნელ გამოსათქმელ ტერმინებით არ არის სავსე. ბირველი მაგალითი იყო, რომ პეტერბურგში, ქართველ კაცისაგან სამეცნიერო რამე დაბეჭდილიყოს და ისიც მართველობასაც მოსწონებოდა ‡ სასელმძღვანელოთ მიელოს.

სწავლის დამთავრების შემდეგ, ეს ერთობ მცირე ხანს დარჩა რუსეთში, საქართველოში მოსვლას ესწრაფებოდა, რადგანაც აქ წიგნების ბეჭდვა და ვრცელება უნდა დაეწყო. ვიდრე იქ იყო, ბატონიშვილებთან დადიოდა ‡ დღე და ღამე საქართველოზე ჰქონდა საუბარი და ქართულს მწერლობაზე. ამან ბატონიშვილებს აცნობა თავის განძრასვა, სტამბის დაარსება, წიგნების ბეჭდვა და ყურხალ-გაზეთის გამოცემა. ეს არის ჩვენი სახსარიო, ეს არის ჩვენი ერთად ერთი ძალა, ეს თუ შეგვაკავშირებს ერთად და ამით თუ წავალთ წინაო, თორემ სხვა ღონის ძიებანი სულ უბრალოა, არა გამოვარაო. ბატონიშვილებს ეს ძრიელ უხარიოდათ. სტამბის გასახსნელ თეულს ბატონიშვილები და ოთვანე ბერი და ‡ ბირდენ. ბატონიშვილებს უთქვამსთ, რომ ყველაფერს გაგიკეთებთ, ოღონდ შენგი ეცა-

დე, მალე წადი საქართველოშიო. დიდათ უხარიოდა ეს საქმეები ბერს იოვანე სულაშვილს. დიდაშვილმა აქ ყოფნის დროსვე შეირთა ქალი, ტომით ბოლონები და მალე წამოვიდა საქართველოში, მგზავრობა მას მოსკოვზე მოუხდა და მან აქაც ნახა ქართველი ბატონიშვილები, რომლებსაც აუხსნა თავისი განძრახვა. ბატონიშვილები ერთობ მოხარულნი დარჩნენ მის განძრახვაზე და დახმარებაც დაჰპირდენ.

საქართველოში როგორც იქმნა მოვიდა და 1827 წლის ბოლოსვე თხოვნა მისცა კავკასიის მთავარ მართებელს სტამბის გახსნაზე. სტამბის გახსნის იმედი მისცეს. ეს ამბავი მან იოვანე ბერს აცნობა და ბერმაც მას მალე გამოუგზავნა სამასი თუმანი ამ საქმეებისთვის. 1828 წ. უკვე სტამბა გახსნა და წიგნაკების ბეჭდვა დაიწყო. ამავე წელს შეიტანა ქართულს ენაზე კვირის გაზეთის გამოცემის თხოვნა, რომელ გაზეთსაც სახელათ „თფილისის უწყებანი“ ეწოდებოდა. მართველობამ მალე დართო ამის ნება, ასეთ ნება რთვებს მართველობა იმ დროს სამი არ იყო, ასევე ნება დართვეს პირველად 1817 წ. ქართულს ენაზე გაზეთის გამოცემას ჯ ეს ერთი წლის შემდეგ გამოიცა კიდეც, რომლის გამოცემაც 1821 წლამდე გაგრძელდა და მეორე ნება-რთვა 1822 წ. იქმნა, რადგანაც 1823 წ. მეორეთ გამოიცა თფილისში სხვა ქართული გაზეთი, და აი ესეც მესამე, 1829 წლის გამოსცემათ. გაზეთის ფასი წელიწადში ექვსი მანათი. ზეიდამ სალიტერატურო და საპოლიტიკო აწერია და გამოიცემა პარასკევობით, საწერ ქალალდის ორს თაბახზე, ხან თითო თაბახზე გამოდიოდა. მონაწილეობას იღებდენ ალ. ჭავჭავაძე; გ. ერისთავი, ბეკრის ცუდის საქმეებით ცნობილი დიდი გიორგი ერისთავი, ალ. ორბელიანი და რამდენიმეც სხვები. გაზეთის გამოცემის მიმართულება საკმარისად ეხმარებოდა და ეთანხმებოდა იმ დროის ქართველთა მდგომა-

34256

რეობასსა. იმ დროებში, ახლად შეცვლილს საქართველოს და გარდაცვლილს ქართველობას დიდაშვილი ისე მოეკვლინა, როგორც ცის მანანა. ეს გახდა იმ დროების ქართველთა სიხარულათ და მიბნედილ თვალების ასახილველათ. ასეთ მუშა ხირების რიცხვი იმ დროის ქართველებში სულ არ იყო. ამან თავისუფლათ ამცნია იმ დროის ქართველობას თავის გულის ჭირნი და ლტოლვილებანი. ამან ქართველობას დაუმტკიცა თავისი მამულის მოყვარეობა, ამან აჩვენა მათ საქმე და საქმის სიყვარული. ამავე დროს ეს დანიშნეს იმ დროის კეთილშობილთ სასწავლებელში ქართული ენის მასწავლებლათ, სადაც დიდათ მეცადინეობდა და შრომობდა ქართველთა შვილების გაწურთნასა და განვითარებაზე ისე, როგორც ის დროება მოითხოვდა. ერთსა და იმავე დროს ეს არის მასწავლებელი, ეს არის რედაქტორი და ათასი კიდევ სხვა საქმეების მკეთებელი, ძრავალთა დამრიგებელი და გზის მაჩვენებელი. რუსები ახლათ იყვნენ აქ შემოსულნი, ხალხი მათ წესებს კარგათ ვერ იცნობდა და ამიტომ ხშირად ესენი დიდს გასაჭირშიაც ვარდებოდენ. ასეთ გაჭირებულებით სავსე იყო ხოლმე დიდაშვილის სახლი და ყველა იმას ეხვეწებოდა, რომ გეიშველეთ და გეიშველეთო. ამასაც როგორც შეეძლო ისე ესმარებოდა ხალხს, ზოგს დარიგებას აძლევდა, ზოგს თხოვნებს უწერდა, თუ რუსულათ და თუ ქართულათ. მაშინ თხოვნებს ქართულათაც სწერდენ და იღებდენ. როგორი შესანიშნავი ხირიც დიდაშვილი თავის სახლში და საქმეებში ჩანს, ისევე თავის თანამდებობაში, თითქმის 1830 წლის ყველა ჩვენი მოწინავე ხირები სულ ამის გავლენის ქვეშ გამოზდილები და გამოწურთნილები არიან, მან აღზარდა თითქმის ყველა ის ხირნი, რომელნიც-კი დღეს ჩვენში რამეთ ფასდებიან. ბევრს ქართველ კაცის გვამ-

ში აღმოგვეთა მან საძაგელი მხარეებისადმი მიდრეკილება და სიყვარული, ბევრს ამცნია მან, რომ ისინი კაცები არიან და კაცურს საქმეებსაც უნდა ასრულებდენ. ამან იცოდა ხშირათ შეგირდების შეგრეგება თავის სახლში და მათან საუბარი, მეცადინეობა და სხვა და სხვა წიგნების კითხვა. ეს დიდს ხალისით ნერგავდა მათში ევროპის სხვა და სხვა მწერალთა თხზულების კითხვას. ამას ერთობ ბევრი წიგნები და გაზეთებიც ჰქონია გამოწერილი იმ დროს, თითქმის ყველა ის გამოცემანი, რაც კი მაშინ რუსეთში გამოდიოდა. ხშირად რუსული ლაპარაკიც იცოდა. მაგრამ წყნარათ და გარკვევით. რუსეთიდამ ამას ბატონიშვილებისაგანაც მოსდიოდა წიგნები და სხვა და სხვა გამოცემანები.

დოდაშვილის მთელი მოქმედება ქართველთ უმაწვილების დარიგებაზე იყო მიქცეული და მიპყრობილი. საცა კი შემთხვევა ექმნებოდა დოდაშვილს ყველგან სიტყვესა და დარიგებას აძლევდა ქართველ უმაწვილებს. მაგალითად: 1828 წ. ივნისის თვეში, თფილისის კეთილშობილთ სასწავლებელში უმაწვილების გამოცდა ყოფილა და კიდრე გამოცდა დაიწყებოდა, მინამდე დოდაშვილს მიუმართავს უმაწვილებისთვის სიტყვა, სიტყვაში სხვათა შორის ჯერეთ საქართველოს ისტორიას ეხება, მერე ქართველთა ომებს, შემდეგ დროს, დაცემას და დღევანდელ მშვიდობიანს დროს და სწავლა მეცნიერების გავრცელების ნატვრას ქართველებში.

ეს გამოჩენილი ქართველი თავის დროის კვალთ მარტო იმითი არ იყო შესანიშნავი, რომ მას ქართველ უმაწვილების განვითარება სურდა და ქართული მწიგნობრობის აღორძინება ენატრებოდა. მას სურდა, რომ საქართველოში, იმ დროის, თფილისის ორს სასწავლებელში და სხვაგანაც ქართველთა შვილების სწავლა განათლება საშობლო ენაზედ ყოფილიყოს,

რადგანაც ესენი ამ ენის საშუალებით უფრო ადვილად განვითარდებიან და წავლენ წინაო. ეს ამბობდა: ჩვენ რაღა ვართ, ან ჩვენი ენა რაღა არისო; ჩვენში სხვის ენა თუ არის მიღებული, რატომ ჩვენი კი არ უნდა იყოს მიღებული თვით ჩვენთვისაო, როგორც ჩვენი სამშობლო ენა და ჩვენს სამეფოში სახმარიო. ამან რამდენ გზისმე სცადა ამის შესახებ საუბარი, რომ დღეს საქართველოში რუსული ენის შესწავლის მეთოდი ერთობ ცუდს გზაზე სდგასო. რუსულის ენის შესწავლებას ქართულის ენის მოსპობით ლამობდენ. ამ სენით ისე დაიშხამენ იმ დროის ქართველნი და ნამეტურ თავად-აზნაურები, რომ შესძლებიყოთ, ქართულს ენას ბუსაგებ გადაჭყლაპვდენ. დოდაშვილი ამის დიდი მოკამათე იყო და ამიტომ მანვე დაიწყო მის წინააღმდეგ საქმით მოქმედება, მან ბირველათ შეადგინა ქართული ანბანი, ქართული გრამატიკა და ქართულ რუსულ ენის „რაზღაკორის წიგნი“ ყველა ამაებს ჯერეთ ხელთნაწერებით აკრცელებდა ეს და ბოლოს კი დაბეჭდა და სალხში გააკრცელა. ამის ხელსამძღვანელები დაუბრკოლებლივ მიიღეს კეთილ მოზიღთ სასწავლებელში და სასულიერო სემენარიაში კი ვერაფერი ქმნა, ვერსაიდამ რა შეიტანა და ქართველთ მოამაგეთ მოძღვართ განვითარებას ვერაფერი წამალი დასდო. ამის შესახებ მას დიდი საუბარი ჭქონდა ხოლმე გამართული იმ დროების ბეკრს გამოჩენილთ ქართველ ბერებთანა. ყველა თანხმა იყო მისი. ამ დროს მის გაზეთის საქმე თურმე ერთობ უკეთ მიდიოდა და 1829 წ. 500 მეტი ხელის მოწერი ჭყოლია. მაშინ ქართულს გაზეთს ქართველებს გარდა სომხები და თათრებიც კი იწერდენ, რადგანაც ქართულ ენას ჯერეთ კიდევ მკვიდრათ ჭქონდა ფესვები გადგმული. გაზეთის კარგათ წასვლის საქმემ ისე წაახალისა დოდაშვილი, რომ 1831 წ. ამან განიძრახა ყურნალის გამოცემაც, გაზეთის დამატებათ,

იმავე სათაურით. თვეში ერთხელ. ნებართვა მალე მოუკიდა ჯ 1832 წლის იანვრის პირველიდამ გამოცემაც დაიწყო. აქაც იგივე პირნი იღებდენ მონაწილეობას, ვინც გაზეთში მუშაობდენ. პირველს ნომერში დაბეჭდილია დოდაშვილის მოთხრობა „ჯინევრა“ თრანგულიდამ ნათარგმნი, ეს მოთხრობა 1857 წ. მეორედ გადმოიბეჭდა „ცისკარში“. შინაარსი ამ რას შეეხება: ერთი მიცვალებული ქალი დაუსაფლავებიათ, რომლისთვისაც ნეკზე ძვირფასი ბეჭედი ჩაუყოლებიათ. ეს ბეჭედი ერთ ქურდს უნახავს დამარხვის დროს, იმ ღამეს მის საფლავი გაუთხრია და თითიდამ ბეჭდის წაძრობა სდომნია, მაგრამ ვერ მოუხერხებია თითიდამ გამოღება. ამიტომ ბილებით მოუჭერია თითზე და მოკვნეტა სდომნია, აკი ამ დროს მიცვალებულს გამოღვიძებია, ქურდს დაუტოვებია და გაქცეულა. მიცვალებული ლეტარგიულის ძილით ყოფილა დაძინებული და ჭირისუფლებს ვერ გაუგიათ. ამ დროს წვიმა ყოფილა და ბნელი ღამე, ქალი ქმრის სახლში წასულა, მაგრამ ქმარს კარები არ გაუღია, არ დაუჯერებია, რომ ის მისი ცოლი იყო, მაგრამ რამე მოსჩვენებია და ბოლოს ეს ქალი სხვასთან წასულა, რომელსაც მიუღია. ბოლოს გამოაშკარავებულა ყველაფერი. ამას გარდა პირველს წიგნშივე დაბეჭდილია მოკლე განხილვა ქართულის ძველის მწერლობისა, ეს წერილი პასუხათ დაუწერია იმ პირთა, რომელნიც მის დროს თურმე ქართველობას და ქართულს მწერლობას სძრახავდენ. ერთ ადგილას ასმარებს:—„ოდესნე პეტრიწი ყოფილი თვილისოფოსი პეტრიწეთ ზედ-წოდებული და სტეფანე, ესე იყო ჭეშმარიტი თვილისოფოსი თერიად საყვარელი მოლექსე საქართველოსა შინა. სრულის ჭაზრით იყო, დიდი და ჩინებული კაცი დროსა თვისსა. ამან წერა ყოველთა გვართა შინა სიტყვიერებისათანა და ყოველთა გვართა შინა ჭე

ჩინებულად და პატივის ცემა არა მხოლოდ თანამედროვეთა

თვისთა, არამედ ყოველთა განათლებულთა შთამოებათა თვისთა მამულისათა“. ერთ ნომერში დაბეჭდილია პატარა წერილი იმ დროის თეიმურაზის რუსულ გაზეთის პასუხათ, შესახებ ქართველთა მეფეთა დასაფლავების ჩვეულებაზე, რომელიც მაშინ რუსულს გაზეთში ეოფილა დაბეჭდილი. აქ დოდაშვილი მკაცრათ აღუდგება წინ რუსულის გაზეთის წერილის დამწერს, რომ შენ ბევრში სტყუიო. სხვა და სხვა მიზეზების გამო 1832 წ. თებერვლიდამ დოდაშვილი თიანეთში გადაიყვანეს, იქაურ უფროსის თანაშემწედ. უარი არ შეეძლო ეთქვა, ყურნალის საქმე ამან ძლიერ დაუკოჭლა, ყურნალს ვიდა ჩიოდა. ეს კვირის გაზეთისთვის უფრო დანაკლის დასაღუპი იყო. გადავიდა იქ დოდაშვილი და გამოცემაებს მაინც თავი არ დანება, იქიდამ განაგებდა ამაების საქმეს, ძრიელ ეწვალებოდა კი, ამ საქმემ ყელი გამოსჭრა მას. საქმე ისე წაუვიდა, რომ მესამე თვეს ამ უბედურს ლეკები დაეცენ და კლავი მოსჭრეს, დიდი უბედურება დაატყდა ამას თავზე, ცოცხალ მკვდარი თბილისში გადმოიყვანეს და მორჩენა დაუწყეს, მორჩენის შემდეგ ეს თბილისში დარჩა და აღარსად წასულა. დოდაშვილს აქ დარჩა ცოლი, ეს სხვაზე გათხოვდა, ამას ერთი შვილი ჰყავდა და დედამ და მამინაცვალმა ისე აღზარდეს, რომ ქართული ენა დაავიწყეს, ეს ყმაწვილი მამისაგან ნიჭიერი იყო და რუსულათაც მწერლობდა. რუსულათ ლექსებსაც კი სწერდა. ამ დროს ს. დოდაშვილი წერილს სწერს პეტერბურგში იოანე ბერს და თან სთხოვს, რომ გაზეთი გამოდის, ყურნალი გამოგეცი, წიგნებს გბეჭდავ და ამიტომ ქთხოვ, რომ ყურნალ გაზეთისთვის ხელის მომწერნი მიშოვო. გარდა ამისა დოდაშვილი სთხოვს ამ ბერს, რომ მანდ ბატონიშვილებს სხვა და სხვა ნაწერები აქვსთ და ეგები გამომიართო და დასაბეჭდათ გამომიგზავნოვო. მაგალითად ეს სხვათა შორის ითხოვს „ოდა ბოდა“-ს, რომელიც

ერთ ბატონიშვილს ქონია ნათარგმნი. ეს დიდათ ძეცადინეობდა საქართველოში წიგნების გამოცემ გავრცელებაზე და ნამეტურ ყურნალ გაზეთის, მაგრამ ყურნალის მეოთხე ნომრის გამოცემის შემდეგ მას საქმე სხვათვერ წაუვიდა და ყურნალ გაზეთი დასურულ იქმნა და თვითაც სხვაგან გაგზავნილი, ამაზე ქვემოთ წაიკითხავთ. ეს შემთხვევა ქართველების ცხოვრებაში დიდ თავზარ დასაცემ მოვლენათ იქმნა მიღებული, მაგრამ ვინ რას იზავდა, გარემოებას დაემორჩილნენ და ბევრმა კი გაიღეს თავები. ამავე დროს დაგარგულა დოდაშვილის ძლიერ ბევრი ხელთნაწერი წიგნები, რომელთა თვურცელმაც ვერარ მოაღწიეს ჩვენამდე, გარდა სახელებისა. 1, ქართული გრამატიკა, სასწავლებლებისათვის და 1830 წ დაბეჭდა. 2, რეტორიკა, რუსულიდამ ნათარგმნი. 3, მთავრობის სჯულთ კალდებულებანი, ე. ი. კანონ მდებლობა. დაუბეჭდია 1829 წ. 4, სახელმძღვანელო ცხენის სრბოლისათვის, რუსულიდამ გარდმოკეთებული, მთავრობის თხოვნით. 5, სხვა და სხვა ზნეობითნი ნაწყვეტნი (отрывки) შესხმანი ავთართანი და სხვანი. 6, მოკლე ფილოსოფია, შედგენილნი ძალნი საზღვრებითნი და განყოფილებათა მისთა. 7, ისტორიული აღწერა რომელთამე მწერალთა და რომელთამე ამბავთა. უმეტესი ნაწილი ამ ნაწერების არ სჩანს. მაგრამ ყველა ამაზე ძვირფასი არის 8, რეესტრი ქართულის წიგნებისა, რიცხვით ექვს ასამდე, ვისგან, სად და ოდეს და თვითოეული რას იბეჭდებს თვის შორის. სოლომონ დოდაევის ნაწერებში ყველაზე ძვირფასათ ეს წიგნი ჩაითვლება, მაგრამ ჩვენდა საუბედუროთ ამ წიგნმა ჩვენამდე ვერ მოაღწია. ეს რომ დაშთენილიყო, მაშინ იგი ჩვენს მწერლობას დიდს მასალას მისცემდა ქართულის ძველის მწერლობის ისტორიის გასაცნობათ. მასში ისეთი მასალები იქმნებოდა შეკრებილი, რომლის ჩვენ არაფერი გვინახამს და იქმნება ვერც

არაფერი ვნახოთ, ეჭვს ასი წიგნის აღნუსხვა ბატარა საქმე არ არის, დიდი შრომა მოუნდებოდა დოდაშვილს და ეს მისი დიდი შრომა მეტათ უღვთოთაც დაკარგულა სამუდამოთ. რაც უნდა ნაკლულევანება ჭოანდეს ამას, მაინც ცოდვა არის ასეთი შრომის დაკარგვა ან დაღუბვა. 1830 წლებში არც ერთ ქართველს არა გაუგეთებია რა ისეთი, რაც დოდაშვილს გაუგეთებია. მე გავიგე, რომ ეს თხზულება ბ. იოსელიანს უშოვია და მთლათ თავის ნაწერებში შეუტანია აქა იქ. 9, ქართული ანბანი, ხუცურ-მხედრულ ასოებით, ორჯერ დაბეჭდა 10, ცხენის ბატარა კარაბადინი, დაბეჭდილი. 11, ხორგელის დარიგება, მთავრობის დაბეჭდილი. 12, რუსულ-ქართულ რაზდავორის წიგნი, 1831 წ. დაბეჭდილი და 13 რუსულ-ქართულ ლექსიკონი, შემოგლებული, რომელზედაც არა მცირედ უშრომნია. მაგრამ ყველა ამაზე უფრო რთული და მძიმე მისი სხვა და სხვა საქმეებია და ყურნალ-გაზეთის გამოცემა. ამის ყურნალი და გაზეთი წელიწადში ათი მანეთი ღირდა. დოდაშვილს ყველა ეს წიგნები და ამასთან ბევრი სხვები დასაბეჭდათ ჭოანია მომზადებული, მაგრამ ვერ დაბეჭდა. აქვე უნდა დაებეჭდა დოდაევს იოვანე ბერის ის ლექსიკონი, რომელიც ჩვენ ზემოთ მოვიხსენეთ. დოდაშვილი სწერს ამ ბერს, რომ ლექსიკონის ბეჭდვას შეუდექიო. ბერს თავის ფულში უბეჭდავდა თურმე მას, რომ მით ვალი მოეშორებინა. მაგრამ ეს ლექსიკონიც და სხვებიც მრავალი დაბატიმრებას მიეცნენ და მის მეოხებით სრულიადაც დაიკარგნენ, როგორც მათ დამწერთაოვის, ისევე ჩვენთვის. სხვა და სხვა წერილებსა და წიგნებს გარდა დოდაშვილს ლექსების წერაც სცოდნია, მაგრამ ისე რაღა, როგორც მდაბიოთ და უბრალოთ, უსულოვნოთ. მე ორი ამის ლექსი ვნახე და ერთს აქვე მოვიყვან ნიმუშათ, რომელსაც ცოტა საზოგადო მნიშვნელობა აქვს.

„ძენი შენია, ვითა გშვენია, ყოველნი გაქებენ სიბრძნი-
სა ხლაპით,
შენთა მოშურნეთ, ჩვენ მივეშურნეთ, სირცხვილეულ
ვჰყოთ გავბანოთ ტლაპით,
ქება შენია, არ მარტო ესთქვია; მოსთქმენ იანგნი ფრინ-
ველნი ღლაპით,
ოსმალნი, სპარსნი, ბერძენთა დასნი და ევროპიელ მოხ-
დილის შლაპით
თუ იტყვის ნაკლებს, თავის თავს აკლებს, იგი უფალი
გ . . . . ია.
ვისგან ქებაცა არის ვნებაცა, არც ვისგან კარგათ შესამ-
ჩნევია,
ვერც იცნობს თავსა, ამბობს სხვის ავსა, ჰგონებს რომ
იყოს შესაქცევია.
მას უბედურსა, მალ პასუხს უგებს ჩვენი სოლომონ დო-
დაევაი“.

ერთიც სხვა ლექსი ვნახე ქებათ მიწერილი იოვანე პეტ-
რიწის „კიბ-ცად მუვანის“ ბოლოს ფურცელზე, რომელსაც
იოვანე ბერს უძღვნის. ლექსებს გარდა დოდაშვილს სიტყვების
წარმოთქმაც სცოდნია, მაგრამ ძველებურის ენის კილოთი კი.
მეტათ ბუნდოვანის მიმართვით. მაგალითად მე აქ მოვიყვან
ერთ სიტყვას დოდაევისას, რომელითაც მკითხველი მას კარგათ
გაიცნობს. აი: „საყვარელო მამულო! სრულისა ერთგულებითა
ალბურვილი უმდაბლესი ძე შენი, რომელსაც მესმა რომელთა-
განმე ოოველითურთ მუნთა უცნობთა კაცთაგან შენზე და ძეთა
შენთა ზედა წვრილობით ცრუ მეტყველებანი, მოვისწრაფი
შენდა წერილითა ამით რათა ბოროტმეტყველთაცა სცნან, რო-
მელ არა ძალ უძსთ მათ არა რომელითამე სასით განმართ-

ლება და დამტკიცება შენზე ცრუმეტყველებისა თვისისა. არს-
მან ყოველთა დაამარსმან მოგვინა შენ ნათელი, საყვარელო
მამულო ჩემო და წიაღთა შინი შენთა ცხადათ სჩანან მრა-
ვალნი ღვაწლნი დიდითა მეფეთა შენთა, აწცა განათლდებიან
ძენნი შენნი და განგიახლებენცა დროსა ძველთა ხინებულთა
შენთასა. აწ უკვე ყამი არს, რათა განსჭვრიტო, იდღესასწაუ-
ლო და იყო დიდსა უზომოსა შეებასა შინა; რამეთუ იგი
შენნი ძენი განათლებულნი ღაღადებენ დიდებასა შენსა ჯ არიან
განმზადებულნი ყოველსა ყამსა რათა დაუყონ ზირნი შენზედა
ცრუმეტყველთა, ხოლო მოუკრეფნი შენნი ურმანიცა არიან დიდ-
სა მეცადინეობასა შინა, განათლებასა და შემძლებლობასა და
იუკნენ მარადის ზასუხის მგებელნი ცრუმეტყველთა და მტერთა
შენთანი, რომელთა ზირათ მოოფელნი დღითი-დღე მრავლდე-
ბიან და ესე ვითარცა ყოველთა მემამულეთა ჩვენთათვის ბედ
ნიერებად მისაღებელთა მდგომარეობათა გამო შენთა თანა შენ
განსვენებით ყოფაჲ“.

როგორც ლექსში, ისე ამ სიტყვაში ის გამოიჭვრიტება,
რომ საქართველოში იმ დროებში ერთობ ბევრნი და ბევრ
ალაგას გამოჩენილან ისეთი მაგნე ზირნი ქართველთა, რომელ-
ნიც საქართველოზე და ქართველ ხალხზე ერთობ ცუდს რა-
მეებს ლაპარაკობდენ მტრობით. დოდაშვილი ნატრობს და
იმედოვნებს, რომ დღითი დღე ჩვენში განმრავლდებიან მსწავ-
ლულნი ქართველნი და ესენი ზირს დაუყოფენ თვისის მამუ-
ლის მტრებსაო. დოდაშვილის გულის მწუხარებიდამ კარგათ
სჩანს, რომ ეს ზირის დასაყოფელნი ზირნი ქართველნი უნდა
ყოფილიყვნენ, უეჭველათ. აქ საკვირველი არაფერია, რადგა-
ნაც იმ დროების ქართველებში სავსე იყო ათას ნაირის მძრა-
ხველთ ქართველთა ზირებით. დიდრონი თავადისშვილების
შვილებთაგან კაცი ხშირად შეხვდებოდა ასეთ მტერ ზირებს ჯ

ასევე აზნაურებშიაც, რომელნიც ერთ უბრალო ნივთში გასცვლიდეს ყველაფერს. დიდაშვილი ამათ მესათ ეტემოდა ხოლმეო, ამას არავის მორიდება არა ჰქონია, ყველას ვისაც კი შეხვდებოდა, უცნობს ან მცნობს, ყველას მოურიდებლად ამცნევდა თვის გულის მწუხარებას და უკმაყოფილებას. ერთი საკვირველი ის ყოფილა, რომ მის გმობასა ან ჩივილს ყველა ყურს უგდებდა, ყველა პატივს სცემდა, ყველა წ�არიტათ სთვლიდა. მოქეიფე თავად-აზნაურობასაც იმას ეუბნებოდა, რომ კმარათ ბატონებო, კმარათ, დრო განვითარების საქმეს შეუდგეთო. ასე მკაცრათ და მეტათ გამბედაობით ამხელდა ქართველთა დიდაშვილი და ეს თვის დროის ქართველებში ბევრს ბოროტებას, სისაძაგლეს და უსამუსობას ჩოგებდა და ეს უსამუსობა მას მაშინ უფრო დაუმტკიცდა, როცა ამ მუხანათ კეთილშობილ თავადის შვილების უსამუსობის მეოხებით საქმე განწირულებაზე მიუვიდა და როცა ხელებსა ფეხებსა და კისერზე ხუნდებ გაყრილი თავის სამშობლოდამ უცხო ქვეყანას განამგზავრეს.

დიდაშვილის შესახებ მე შემიტყვია, რომ იგი მეტათ შრომის მოყვარე კაცი იყოო, იგი მდგარა გოლოვინის ქუჩაზე, ორბელიანთ ნასახლარებში, დღეს რომ სასტუმროთ არის გადაკეთებული. მთელ ღამეობით ამის ოთახში სამთელი არ გამქრალა ხოლმე, ღამე ამასთან სხვა და სხვა პირებმაც იცოდნენ სიარული და ლხინი. უმეტეს ნაწილს კი ეს მეცადინეობაში ატარებდა, მთელ ღამეობით სწერდა და კითხულობდა, ამის საქციელისაგან გაკვირვებულნი იყვნენ იმ დროს ყველანი და ამბობდენ, რომ ნეტა ამდენს ან რას კითხულობს და რასა სწერსო. გარდა ამის დიდაშვილი დიდათ მეცადინეობდა სხვა და სხვა ისტორიულ ცნობების შეკრებაზე და გაცნობაზე. ბევრი რამ ძვირფასი მასალები შეუკრებია მას, ბევრი ძველი წიგნები, ამას განძრახვაც ჰქონია, რომ ქართულს ენაზე საქართ-

ველოს ისტორია და გეოგრაფია დაეწერა, რომელსაც მაღ-
დაბეჭდავდა კიდეც, მაგრამ ვერ მოასწრო, ამას გარდა ესა
სწერდა რუსეთან საქართველოს შეერთების პირობებს და იმა-
სიც თუ რა პირობებით შეუერთდა საქართველო რუსეთს.
იღებდა მონაწილეობას მაშინდელს ბევრს სხვა და სხვა ქართ-
ველთ საქმეებში და ნამეტურ ათერთხილებდა ბერებს ძველი წიგ-
ნების გათერთხილებას, შენახვას და სასტიკს პატრონობას,
რადგანაც ეველა ესენი მომავალ თავობას დიდათ გამოადგებათო.
ეს მეტის მეტის გამჭრიახეთ ტრიალებდა იმ დროის ქართ-
ველებში და ქართველთა ცხოვრებას დიდის დაკვირვებით ადევ-
ნებდა თვალ-ყურს. ეოველს ახალს შემოტანილს წეს-ჩვეულებას
და სხვებს ეს საკმარისის დაკვირვებით ადევნებდა თვალს. ამის
თვალსა და გულს არაფერი გამოეპარებოდა. რასაც კი უცხოს
და ახალს დაინახავდა ხოლმე ეს აქ მაშინათვე მასზე ლაპარაკს
დაიწყებდა და ასმენდა მრავალთ, რომ ეს ასე არ უნდა იყოსო
და შემდეგ უფრო ცუდათ წავა საქმეო. უყურადღებობაც არ
შეიძლებოდა, რადგანაც იმ დროების ქართველობაში ქართვე-
ლთა ხასიათების მეჭონი წეს-წყობილებანი ვარდებოდენ და
მის მაგიერ სხვები შემოდიოდენ, რომელნიც ქართველთა ჩვეუ-
ლებას სრულებითაც არაფერით სჯობდენ. მაშინდელ სამღვდე-
ლოთა მდგომარეობაც ხომ დიდათ საგრძნობი იყო და ნამე-
ტურ მაშინდელის ქართველთ უფროს მღვდელმთავრის მოქმე-
დება და გამგეობა, ანუ ღალატით და გმობით მზერა არამც
თუ ქართულს ენაზედა და მწერლობაზე, არამედ თვით ისტო-
რიასა და ეკკლესიაზედაც. ხამს ერსა და მოხელეთა შორის
დიდი უკმაყოფილება და ვაი-ვაგლახები იმართებოდა ხოლმე,
რაც უფრო ერს აწვებოდა კისერზე და სჩაგრავდა. შეგნებულს
მამულის შვილს გული მოუკვდებოდა, რაცა ის იმ დროის
დაბალ ერის აწეწილ დაწეწილს მდგომარეობას ნახავდა და

შიგ ჩაუკვირდებოდა, გულის გასახეთქსა და სამწუხაროს მეტს სხვას ვერას დაინახავდა, შორს გამსჭვრეტელი ⁄ მგრძნობელი ბერი მასზე რასაკვილველია რომ თვიქრებსა და წამლის მოძებნის მეცადინეობასაც მიეცემოდა და უფიქრელ უდარდელის კაცისთვის კი რასაკვირველია ის სულ არაფერი იქმნებოდა. ეს ასეც იყო, ერთნი დღე და ღამე თვიქრსა და ბურანში იყვნენ საქართველოს მომავალს ცხოვრებისთვის და მეორენი კი სმა და ქეიფ-ლხინებშია. ამათვის საქართველოს მომავალი ცხოვრება დათრობა და უზომო ლხინი იყო.

როგორც ზემოთაც მოვიხსენეთ, დოდაშვილი ადრიდგანვე მიეცა საქართველოზე საუბარს და ისე არსად წავიდოდა წვეულებაში, ქორწილში და სხვაგან, რომ იქ მას საქართველოს შესახებ სიტყვა არ წარმოეთქვა, ბერველათ ამან სიტყვების წარმოთქმა ორბელიანთ ოჯახებში დაიწყო, ამას შემდეგ სხვა და სხვა ადგილებში, ამან მალე იზოვა თანამგრძნობელ თ რიცხვი. მათ შეადგინეს საკმარისი გუნდი და ამ გუნდის დახმარებით დაიწყეს საქართველოში თავიანთი ჭაზრების გრცელება. მალე ამათ მოსკოვში მყოფ ქართველ ბატონიშვილებს ატყობეს თავიანთი გულის წადილი, ბატონიშვილებმა ეს საქმე სიამოვნებით მიიღეს და რამდენიმე ხნის შემდეგ მოსკოვიდამ თბილისში ჩამოვიდა ოქრობერი ბატონიშვილი და აღნიშნულს ფარულს საზოგადოებას გაუნდო და დიდი თანაგრნობა და სიხარული გამოუცხადა შესახებ მათგან დაწყობილის საქმეებისა, გააგებინა რომ ყველა ბატონიშვილები აღმოაჩენენ ძალას და შეთქმის დროსაც სულ აქ დაესწრებიან, რაც ქონება აქვსთ, იმასაც სულ აქ მოიტანენ და საქართველოს საქმეს შესწირვენო, დიდი სიხარული დაბადა ამ საქმემ იმ დროის მოთავეებში. დაიმედებულთა მოთავეთა წინამძღვარმა დოდაშვილმა მალე წვეულება გამართა თავის სახლში, აქ მიიწვია

ძრიელ ბევრი ქართველი ასულგაზდები, ამათში ბერებიც იყვნენ. ქალებიც და მრავალნიც სხვანი, დოდაშვილმა სიტყვა წარმოსთქვა საქართველოს შესახებ და ბოლოს იქ მყოფთ მიმართა. ყველამ დიდის სიამოვნებით მოისმინეს დოდაშვილის სიტყვა და ყველამ თავის დადება და სამზადისი გაანცხადეს, ნამეტურ ბერებმა და ბერებთა შორის თვალადელთვოს არხიმანდრიტმა. ერთი საკვირველება ამათი ის იყო, რომ ყოველს კრებაზე და საუბარზე თავიანთ ცნობილს საგნის საუბარს გარდა ქართულს მწერლობაზედაც საუბრობდენ ხოლმე და მის ახლად ფეხის ადგმაზედაც, ერთსა და იმავე დროს ამათ რამდენიმე საქმისთვის უნდა გაეწიათ მფარველობა და ნამეტურ მწერლობისთვის უნდა შეეწყოთ ხელი და გაეკრტელებინათ, მაგრამ განძრასვა მალე იქმნა ცნობილი.

საქმის დაწყნარების შემდეგ მაშინდელმა მთავრობამ ქართულს ენაზე რამდენიმე ათასი გასათრთხილებელი განცხადებები დაბეჭდა და დაარიგეს ხალხში. ეს განცხადება დაბეჭდილია ლურჯს ქაღალდზე და მთავარ მართებელი ათრთხილებს ხალხს, რომ დღეის შემდეგ ასეთ საქმეში აღარ მიიღოთ მონაწილეობა და არავის აჰყვეთო, რადგანაც თქვენგან რუსეთის წინაშე ეს უკანონოთ ჩაითვლებაო. ხელმწიფე იმპერატორი თქვენთვისაც ისე ზრუნავს, როგორც რუსეთისთვისაო, თქვენიც ისეთი მამა არის როგორც სხვებისთვის და ეს აბარა სამაგიეროს გადახდა უნდა იყვესო მტერობა და ღალატი თავის მეფისაო. დიდათ აუვედრიდენ დოდაშვილს, ჩვენი სწავლა მიიღე, ჩვენი ფულით გამოიზარდე და ჩვენის პატივისცემის მაგიერ გულში მტრობა ჩაინერგე და მტრობით განიძრახე სამაგიეროს გადახდაო. ეს არ ეკადრება იმ კაცსა, ვისაც უმაღლესი სწავლა მიუღიაო. ბევრს კიდევ სხვა საყვედურებს ასმენდენ დოდაშვილს. ეს ხშირათ თავს მართლუ-

1
+ 551

ლობდა, მაგრამ კაი მის გამართლებას. დიდათ ემდურებიან აგრეთვე ფილადელფოს არხიმანდრიტს და ამას საკმარისად დაუძინებელ მტერ ბერათ მოიხსენებენ. ეს იყო ტომით იმერი, ერეკლე მეფის დროს გადმოვიდა თფილისში, სწავლობდა ანტონ ქათალიკოზის კარზე, ბერათ წარსულს საუკუნეშივე იქმნა შემოსილი, გვარათ კიკნაძე იყო. ამ საუკუნის ბირველს წლებში რუსეთშიაც იყო, ბატონიშვილებს ასწავლა. იყო დიდათ მწიგნობარი ბერი, საქართველოს ისტორიის კარგათ მცოდნე, ქართულის ძველის და ახალის მწერლობის მცნობი. გვარიანი მქადაგებელი, იცოდა ლექსების წერაც, უმეტეს საქართველოს შესახებ სწერდა და ქადაგებდა. ალ. ორბელიანმა დრამა „დავით აღმაშენებელი“ სულ ამ შემთხვევებზე დასწერა. სერაფიმ ბერში ფილადელფოს ბერია გამოხატულიო.

წარვიდნენ ის წელნი და თან გაჰყვენ მას ყველა ის საქმენი, რაც კი მაშინ დაწყობილ იქმნა ზოგი ერთ ბერებისაგან, რამდენიმე ხნის შემდეგ აქა იქ აღიხოცნენ მიწიდამ ის ბერნიც, ვინც მაშინ ამ საქმეს ხელს უწყობდენ. მათის აღხოცვით გაქრა მთლათ მათი მოქმედების ცნობებიც. სანატრელი იყო და არის კიდევაც, რომ ქართველების ეს შემთხვევა ბევრის მასალებით აღიწერებოდეს და გავიცნათ ის თუ მათ რა სურდათ, რას ელტოდენ და რა უნდოდათ ჩვენის მომავალის ცხოვრებისთვის. ამაზე არაფერი სჩანს და ბევრნი, ვინც-კი იყვნენ მომსწრენი ამ დროებისა და საქმეებისა და რომელთაც შეეძლოთ ბევრი რამ დაეწერათ, ამათაც არაფერი დასწერეს და ასე და ამ გვარათ ჩვენ ხელში გვრჩება მხოლოდ ის ცნობები, რაც რუსის მთავრობისაგან არის მოპოვებული და ნამდვილ ცნობილი.

ფ. ჯ.

1
ф 551

ფასი 15 კაპ.

იბეჭდება და გამოვა

ვლატონ იოსელიანი

და

ს. დოდაშვილის ცხოვრების მეორე ნაწილი.